ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4503553

ნომერი: AR1679521

თარიღი : 06.05.2019

გაცემის თარიღი : 17.05.2019

გაცნობის თარიღი : 17.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ლილოს ბაზრობის და მდინარე ლოჭინის შორის, (ნაკვეთი 03/009) ;
ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ლილოს ბაზრობის და მდინარე ლოჭინის შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი სალთხუციშვილი პ/ნ 12001094847
- მარტყოფი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 06 მაისის AR1679521 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.19.13.003.048 მიწის ნაკვეთზე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

-იმისათვის, რომ მოხდეს მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობაში ცვლილების შეტანა, საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დააფიქსიროთ საკადასტრო კოდის და ფართობის ცვლილება, ვინაიდან სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეიტანოს ცვლილება, არსებული ფუნქციის ზონის გათვალისწინებით. შესაძლებელია მხოლოდ საკადასტრო კოდის და ფართობის ცვლილების დაფიქსირება.
-ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, კახეთის გზატკეცილი, ცოტნე დადიანის გამზირი, ავჭალის შოსე,საქალაქო მნიშვნელობის რეგულირებადი (უწყვეტი) მოძრაობის მაგისტრალის ტერიტორიის განვითარების (ჩარჩო) გეგმის არეალში მდებარეობს, ამიტომ წარმოსადგენი იქნება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიცია.
-მიწის ნაკვეთზე გადის ელექტროგადამცემი ხაზი ს/კ N 01.00.221, მესაკუთრე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულია, საჭიროა წარმოადგინოთ მესაკუთრის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების შესაძლებლობაზე.
-ასევე გაითვალისწინეთ, რომ საკითხი უნდა დააყენოთ 2015 წლის 29 ივლისის № 2006182 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაუქმებაზე.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2019 წლის 06 მაისის AR1679521 განცხადება, დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.